საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №575

თბილისი „27“ 06 2017 წ.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „თ“, „რ“ და „ფ“ ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 13 ივნისის N649009 და 2017 წლის 27 ივნისის N749495 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნით:

ა) გამოცხადდეს გრიფირება ამ ბრძანების დანართი N1-ში განსაზღვრულ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის შესარჩევ ერთეულებზე;

ბ) განისაზღვროს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დამტკიცდეს გრიფირების განაცხადის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს სახელმძღვანელოს მაკეტის ანკეტის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა